ადგილი : სკოლის დარბაზში.
დრო : 1,5 საათი.
საჭირო ინვენტარი :
პიანინო, ცენტრი, დინამიკები , მიკროფონები.
მაგნიტური დაფა თავისი სამაგრებით ნახატების გამოფენისათვის.
მოსამზადებელი სამუშაოები (20 წთ)
სცენარი -გახსნა : 12 საათზე ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს და პედაგოგებს გამოფენითა და თემასთან დაკავშირებული ღონისძიებით შეხვდებიან მარადისისა და საიმერლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, ღონისძიების ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა აქტივობები ცეკვა, სიმღერა და ნახატების გამოფენა .გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით.

ძირითადი ნაწილი : ამ ღონისძიებით მოსწავლეები აჩვენებენ დამსწრე საზოგადოებას პედაგოგებს , მშობლებს და ბავშვებს სხვადასხვა კუთხის ,მათ მიერ მოძიებულ არქიტექტურულ შედევრებს, სამოსს და ცეკვა- სიმღერას, რისი მეშვეობითაც შეფასდებიან ღონისძიების დასრულების შემდეგ მოსწავლეები.
მოსწავლეებს შეაფასებენ:
მოწვეული სტუმრებისგან შედგენილი კომისია .

შეფასების კრიტერიუმები:

1 პრეზენტაციის სტრუქტურა:
პრეზენტაციის წარმოდგენა მკაფიო, ლოგიკური ,თანმიმდევრული ფორმით.

2 აუდიტორიასთან კონტაქტი:
აუდიტორიის ინტერესის პროვოცირება და შენარჩუნება.ვიზუალური კონტაქტი მსმენელთან, არსებით საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად მიმიკის, ჟესტიკულაციის ინტონაციის გამოყენება.

3 ვიზუალიზაცია:
პრეზენტაციაში გამოყენებული ვიზუალური მასალების ხარისხი ,

4რეგლამენტის დაცვა:
დროის რაციონალურად გამოყენება.

5 გუნდურ პროექტში მოსწავლეთა მუშაობის ეტაპი
კარგად ორგანიზებული და მოსწავლეების მიერ სწორად გადანაწილება

6 პროექტის მუშაობის წარდგენის ეტაპი
კარგად ორგანიზებული საპრეზენტაციო პროგრამა

7ისტ-ის გამოყენება
მოწესრიგებული და მრავალფეროვანი

მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:
აუდიტორიის წინაშე წარსდგენის და შესრულების უნარ-ჩვევები.
თემასთან დაკავშირებული ჩანახატების გამოფენის უნარ- ჩვევები.

დახურვა: ამლონისძიებაში გამარჯვებული ჯგუფი დაჯილდოვდება სიგელით